რატომ იძლევა CLAAS-ის ტექნიკა ნაკლები დანახარჯით მეტი მოგების შესაძლებლობას

დედამიწის უმეტესი ნაწილი, როგორც ვიცით, წყლითაა დაფარული, ხმელეთს - სტეპებს, მთებს და უდაბნოებს მხოლოდ ერთი მესამედი უჭირავს, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მხოლოდ სამი პროცენტი, ანუ 1,5 მილიარდი ჰექტარი გამოიყენება. დედამიწაზე ნაყოფიერი ნიადაგი, როგორც სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი საწარმოო რესურსი, საკმაოდ დეფიციტური და მუდმივად მცირდება. ბუნებისადმი ადამიანის უგერგილო დამოკიდებულების და ბუნებრივი კატაკლიზმების (წყალი, ქარი, ეროზია) გამო, მილიონობით ჰექტარი ნაყოფიერი სახნავი მიწები ყოველწლიურად ხრიოკდება.

უახლესი ტექნოლოგიების მთელი ფილოსოფია სწორედ ეფექტიან და დამუშავების დროს ნიადაგის დაცვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას ემსახურება.



ეკა ჯიმშელაძე

ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ წამყვანი რედაქტორი

ამ მიმართებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელ კომპანიებს შორის გერმანული **CLAAS**-სი, ლიდერია. **CLAAS**-სის უნიკალურ ტექნიკას უკვე ქართველი ფერმერებიც იცნობენ და კავკასიაში კომპანიის წარმომადგენლობის - **„მსოფლიო ტექნიკის“** დახმარებით წარმატებითაც ითვისებენ.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში **CLAAS ACADEMY**-სა და შპს **„მსოფლიო ტექნიკის**” მიერ ერთად აპრილის დასაწყისში გამართულმა საერთაშორისო- საინფორმაციო სემინარზე, რომლის თემა გახლდათ: **„აგროსამრეწველო კომპლექსის სპეციალისტების მომზადების თანამედროვე მეთოდიკები”,** ქართველმა სტუდენტებმა, ფერმერებმა და ჟურნალისტებმა, თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს. დიდი ინტერესი გამოიწვია სემინარის პარალელურად უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ფირმების: **CLAAS**-ის, **Grimme**-სა და **Lemken**-ის ტექნიკის გამოფენამ.

„**CLAAS**”-მა აგრარულ უნივერსიტეტში სასწავლო აუდიტორიაც გახსნა, სადაც სტუდენტები და ფერმერები თანამედროვე ტექნიკასთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას და თვალსაჩინო მასალებს გაეცნობიან.

კომპანია **CLAAS**-ი ათეული წლებია უმაღლესი კლასის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას აწარმოებს. კომპანიის მიზანი ტექნოლოგიების მუდმივი სრულყოფა და მომხმარებლისთვის ეკონომიკურად მომგებიანი ტექნიკის მიწოდებაა.

CLAAS ACADEMY -ს სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. მას მსოფლიო მასშტაბით, სწავლების უახლეს საინფორმაციო ტექნიკური და მულტიმედიური ბაზაც აქვს.

ამიტომაც, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სემინარის მონაწილეებს მსოფლიო თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე და სწავლების მეთოდიკაზე უნიკალური ინფორმაციის მიღების საშუალება მიეცათ. სემინარის მონაწილეებმა აქვე ერთმანეთს სოფლის მეურნეობის დარგში სპეციალისტთა მომზადების გამოცდილებაც გაუზიარეს და განათლების სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებიც განიხილეს.

სწავლების თანამედროვე მეთოდებს შორის მიწათმოქმედებასა და მემცენარეობაში გამოყენებული ნავიგაციის თანამედროვე სისტემები **Telematics, AGRO SCOUT, OUTBACK**-S, მოსავლიანობის რუქების შედგენა, ზუსტი მიწათმოქმედებისა და მოსავლიანობის დაგეგმვა და წარმართვა გახლავთ, რომელიც ფირმა **AGROCOM**-მა შეიმუშავა.

გელა ჯავახიშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი: ამ სემინარის შედეგებს ცოტა მოგვიანებით დავინახავთ, როცა საქმეში ჩაერთვებიან ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტები, მეცნიერები და პროფესორ-მასწავლებლები, რომელსაც საქართველოს მექანიზატორთა უზარმაზარი არმია კვალიფიკაციას აიმაღლებს. თავად სემინარმა კი მოლოდინს გადააჭარბა. დარგის გამოცდილმა სპეციალისტებმაც კი აღფრთოვანებით აღნიშნეს, რომ ასეთი სერიოზული და მართლაც სასარგებლო გამოფენა-სემინარი საქართველოში ბოლოს როდის მოეწყო, აღარ ახსოვთ. აქვე გაიხსნა ცენტრი, რომელიც მხოლოდ საქართველოს მასშტაბით კი არ გადაამზადებს ძველ კადრებს, არამედ, იგი ამ მიმართულებით, სამხრეთ კავკასიის რეგიონულ ცენტრად იქცევა. აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებმა უკვე გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი. ჩვენ ქვეყნებს შორის ასეთი სახის კავშირი ყოველთვის არსებობდა და ახლა ამის აღდ-







გენა აუცილებელია. დღეს წარმოუდგენელია, რომელიმე ქვეყანამ კარჩაკეტილობით, ყველასგან დამოუკიდებლად, რაიმე სერიოზულ შედეგს მიაღწიოს.

საქართველო აგრარული ქვეყანაა, ცოდნის გავრცელების მხრივ კი ჩვენი უნივერსიტეტი ფლაგმანია. სხვათა შორის, სულ მალე აგრარულ უნივერსიტეტში, კიდევ ერთი, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია გაიხსნება, სადაც ნიადაგის, წყლის, კვების პროდუქტების ხარისხი შემოწმდება.

იენს მოსკა, კომპანია „Lenken"-ის რეგიონული წარმომადგენელი: მართალია, თქვენს ქვეყანაში იმ მეურნეობების რიცხვი, რომლებიც დღეს რეალურად რენტაბელურად მუშაობს და ასეთი ტექნიკის შესაძენი ფული აქვთ, ბევრი არ არის, მაგრამ საქართველოს სოფლის მეურნეობას ასეთი ტექნიკა აუცილებლად სჭირდება. მერწმუნეთ, იგი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც განვითარდება. ეს მოხდება მაშინ, როგორც კი ფერმერი გაარკვევს, რომ ეს აგრეგატები შემოსავლების ერთიორად გაზრდის კარგი საშუალებაა, რომ ნაკლები დანახარჯით მეტი ეფექტის მიღებაა შესაძლებელი.

ალექსანდრ კლესტერი, კომპანია „Grimme"-ს გაყიდვების განყოფილების მენეჯერი: ჩვენი კომპანია – მეკარტოფილეობისთვის საჭირო ტექნიკის წარმოებაში მსოფლიო ლიდერია. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ კომპანია **„მსოფლიო ტექნიკასთან"**. იგი, როგორც ჩვენი ოფიციალური პარტნიორი და დილერი საქართველოში გვეხმარება ამ რეგიონში ისეთი სამუშაოების ჩატარებაში, რაც თქვენი ქვეყნისთვის სპეციფიკურია. სამწუხაროდ, ფერმერთა უმრავლესობას, კარტოფილი მოძველებული მეთოდებით მოჰყავს. სამი წლის წინათ ჩვენმა კომპანიამ აქ ჩამოიტანა და ფერმერებს მიაწოდა მოწყობილობები, რაც ახალქალაქის რეგიონში დღესაც წარმატებით მუშაობს. ტექნიკის მაღალი ფასის მიუხედავად, ადგილობრივმა ფერმერებმა დაგვიდასტურეს, რომ ამ მანქანების ღირებულება გამართლებულია, რადგან ხანგრძლივი საამორტიზაციო პერიოდის გამო გაცილებით დიდხანს ემსახურება მათ, ვიდრე, დავუშვათ, თურქული ტექნიკა. ამ მოწყობილობებმა ახალქალაქში

უკვე დაამტკიცა, რომ იქ კარტოფილის რენტაბელურად მოყვანა შეიძლება. მარნეულში ამ ტექნიკის გამოყენებით კარტოფილის საჩვენებელი პროექტის განხორციელება დავიწყეთ, რის შედეგებსაც წლის ბოლოს გამოვაქვეყნებთ. კარტოფილი ის კულტურაა, რომელიც კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. თუკი ფერმერი კარტოფილის თანამედროვე დამრგველს ყიდულობს, დანარჩენს კი ძველებური მეთოდით აკეთებს, მაშინ ეს წყალში გადაყრილი ფულია. მერწმუნეთ, მხოლოდ მანქანების მთელი კომპლექტია შეძენა იძლევა დანახარჯების მთლიანად ანაზღაურების გარანტიას. საქართველოს კარტოფილის, განსაკუთრებით კი სათესლე ჯიშების მოყვანა-გამრავლებაში დიდი პოტენციალი აქვს.

ტიბრან რიხტერი, კომპანია „ნორიკას” დირექტორი: სემინარი უზადოდ იყო მომზადებული, რაც შპს „**მსოფლიო ტექნიკისა**” და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დამსახურებაა. შეხვედრაში აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგაციებიც მონაწილეობენ, რამაც, ფაქტობრივად, საქართველოსთან ერთად სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემოსვლის საშუალებაც მოგვცა. საბჭოური წარმოების ტექნიკამ თავისი დრო მოჭამა. აქ წარმოდგენილი ტექნიკა იაფი ნამდვილად არ არის, თანამდევი ფირმების წარმომადგენლებიც სწორედ ამიტომ გვწვიეთ, რათა ხალხს ამ ტექნოლოგიების შესახებ მათ სრული წარმოდგენა შეექმნათ. ლაპარაკია ქიმიკატების, სასუქის, სასაწყობე ნაგებობების, ინვესტიციების თემებზე, რათა დახარჯული თანხა მოსავლის აღების შემდეგ ფერმერმა უკან დაიბრუნოს და მოგებაც დარჩეს.

შეიძლება ითქვას, საბაზრო ურთიერთობებზე სწრაფად გადასვლის გამო სამამულო სელექცია, ცოტა არ იყოს, ჩამორჩება, რადგან მას სულ სხვა მიზნები ჰქონდა. დასავლეთ ევროპული ჯიშები, რომლებსაც „**Norika**” გთავაზობთ, იმ საბაზრო მოთხოვნებს შეესაბამება, რასაც ითხოვს ვაჭრობა, მრეწველობა, საზოგადოებრივი კვების ობიექტები და მომხმარებელი, ვინც კარტოფილს საკვებად იძენს. უწინ თუ სელექცია აქცენტს გამძლეობაზე და მედეგობაზე აკეთებდა, დღეს ეს პარამეტრი ისეთი მნიშვნელოვანი აღარ არის, რადგან ახლა ტექნიკა უფრო ფრთხილია, ქიმიკატები ეფექტური, ხოლო შესანახი ადგილები უფრო კეთილმოწყობილი. ამიტომ დანაკარგები უკვე ჯიშზე კი აღარ არის დამოკიდებული, არამედ, იმის მოვლაზე, რომ, მაგალითად, ბოლქვები სწორად განლაგდეს. დღეს ყურადღება ოპტიკურ იერზე, გემოზე, მოსავლიანობაზეა გადატანილი.

ომარ თედორაძე, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: რაც საბაზრო ეკონომიკაზე გადავედით, 1991 წლიდან, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა არ განახლებულა. ძველი, საბჭოური ტექნოლოგიები აგრეგატები კი საბაზრო ეკონომიკის პირობებზე სამუშაოდ გათვლილი არ იყო. ევროპული ტექნოლოგია ეკონომიური და მაღალეფექტიანია.

ქვეყანაში უნდა არსებობდეს ორგანიზაციები, რომლებიც ამ მიმართულებით იმუშავებენ. უნდა შეიქმნას მომსახურების ცენტრები, სადაც ფერმერები თავიანთი მოთხოვნებისა და საჭიროების მიხედვით შეარჩევენ ტექნიკას. მაგალითად, ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანაში გახსნილია მსოფლიოში ცნობილი ფირმების ოფისები, ანუ სადილერო სამსახურები, როგორც ჩვენში ავტომაღაზიებია. ფერმერი მიდის და არჩევს გერმანულ, ამერიკულ თუ ჰოლანდიურ ტექნიკას. სახელმწიფო როგორ დაეხმარება ფერმერს, ეს უკვე სულ სხვა საკითხია.

ჩვენ მიწების პრივატიზების დროს დაუშვით შეცდომა. ჰექტარნახევარი მიწის მფლობელს ფერმერი არ ჰქვია, ასეთ მცირე ფართობზე რა უნდა მოიყვანოს კაცმა? წვრილი, გლეხური მეურნეობები სასურველ შედეგს ვერ მიაღწევენ. მსხვილ ფერმერად მხოლოდ მათი ჩამოყალიბება მათი გაერთიანება-გამსხვილებით არის შესაძლებელი. ეს თავად დრომ მოიტანა. წვრილი ფერმერული ნაკვეთების მფლობელებს შეუძლიათ, გაერთიანდნენ ერთიან კორპორაციულ სისტემაში ან ფერმერთა ასოციაციებში, როგორც ეს საზღვარგარეთ არის მიღებული.

ტექნოლოგიებს უნდა მოარგო ტექნიკა. როგორც იქნა, ორ რამეს მივაღწევთ: ვასწავლით ჩვენს სტუდენტებს ისე, როგორც ევროპელი სტუდენტები სწავლობენ, ამავე დროს, ქვეყანაში შემოვა თანამედროვე ტექნიკა. ეს იქნება სრული ციკლი, რომელიც ამ ფირმებსაც წაადგება და ჩვენს ქვეყანასაც.

კობა კობალაძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსიკორპსის” და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის თანამშრომელი: საგულისხმოა, რომ ასეთი მაღალი რანგის სემინარი ყველა შემთხვევაში გამოიღებს შედეგს. სემინარის მონაწილე ბევრი პროფესიონალისთვის უამრავი რამ აღმოჩენა იყო, არაპროფესიონალი ხომ სულგანაბული უსმენდნენ სპეციალისტებს! ეს მომავლის სტანდარტები გახლავთ. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიები შემოდის. ეს მხოლოდ მიწის მოხვნის თვალსაზრისით კი არა, ფერმერების განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პოტენციალის ამაღლების კუთხითაც მომავლის ტექნიკაა. დასაქმდება უამრავი ადამიანი, მოსავლიანობის მატება კი 40-50 პროცენტს მიაღწევს. აქამდე თუ მეკარტოფილე ჰექტარზე 15-20 ათასი ლარის მოგებას ახერხებდა, ახლა მას ამ ციფრის გაორმაგება შეეძლება. ეს სიტყვები „ჰაერზე” არ მითქვამს: ჩვენმა ორგანიზაციამ ახალქალაქში და საქართველოს სხვა რეგიონებში ეს ტექნიკა და ტექნოლოგიები უკვე გამოსცადა, შეისყიდა და მოსახლეობაში გაავრცელა, ასე რომ, ყოველი სიტყვა კონკრეტულ ფაქტს ეფუძნება.

მაგერამოვ ჯაფარ, აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების გამგე: სემინარზე იმაზე მეტი გავიგეთ, ვიდრე ველოდით. ამიტომ გადავწყვიტეთ, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან ურთიერთობები კიდევ უფრო გავაღრმავოთ, ერთობლივი პროექტები განვახორციელოთ, რაც ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის არსებულ, ისედაც მჭიდრო კავშირს, კიდევ უფრო





განამტკიცებს. აქ წარმოდგენილი ტექნიკა, მართლაც, შესანიშნავია. მისთვის ბაზარი საგანგებოდ უნდა შემზადდეს. მომხმარებელმა მეტი ინფორმაცია მიიღოს, განსხვავებას მიხვდეს. სწავლება ხანდახან მეცნიერ-მუშაკებსაც სჭირდებათ, ფერმერს ხომ ამის გარეშე, თავისთავად, გაუჭირდება. სწორედ ამიტომ უნდა გააქტიურდეს პროპაგანდა. შეიძლება, ერთი შეხედვით, ისე ჩანდეს, თითქოს ბაზარი მზად არ არის ასეთი ტექნიკისთვის, მაგრამ საქმის დაწყება ხომ ყოველთვის სიძნელეებს უკავშირდება. ამ ყველაფერს დიდი მომავალი აქვს.

ლევან ცაბარელი, ახალსოფლის №2 საჯარო სკოლის მე-11ე კლასის მოსწავლე: სოფლის მეურნეობით სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა სერიოზულად არის დაინტერესებული. ასე რომ, სემინარის მონაწილეთა გამოსვლები დიდი გულისყურით მოვისმინეთ, ტექნიკასაც გულდასმით გავეცანით და დავათვალიერეთ. მე და ჩემი მეგობრები ამერიკელების მიერ დაფინანსებულ პროექტ „**FFG**"-ში ვართ ჩართული, ერთად მოგვყავს სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ფუტკარიც კი გვყავს. აქ მიღებული ინფორმაცია ბევრ საქმეში გამოგვადგება, თუნდაც, კარტოფილის მოყვანაში. ასეთი ტექნიკა კარტოფილის დათესვაში, აღებაში, ყანის მოყვანაში დიდ დახმარებას გაუწევს ფერმერებს. იმედია, მომავალში ასეთი მაღალი კლასის ტექნიკის ყიდვის საშუალება გვექნება. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ახალგაზრდები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან სოფლის მეურნეობით. თავიდან ჩვენს პროექტში სულ 10 ბავშვი ვიყავით გაერთიანებული, ახლა კი მასში თითქმის მთელი სკოლა ჩაერთო.

შაიკ ბაირამოვი, ფირმის „აიბოლიტი XX საუკუნე" დირექტორი: ის სათესლე მასალა, რომელსაც ფირმა „**Norika**" მოგვაწვდის, მარნეულის რაიონში დაითესება, მაღალმთიან რაიონში კი ექსპერიმენტისთვის გამოვიყენებთ და გავარკვევთ, რამდენად გამოსადეგია ამგვარი თესლი ჩვენს კლიმატურ პირობებში. ასეთ სასარგებლო სემინარს ნამდვილად არ ველოდით. მომწოდებლებთან და სპეციალისტებთან შეხვედრამ ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დარწმუნებული ვარ, მეკარტოფილეობის განვითარებას საქართველოში, თუ მთლად ევროპის მსგავსი არა, ოდნავ ნაკლები პერსპექტივა ნამდვილად აქვს. ესეც იმის გამო, რომ ჩვენ არ გვაქვს მაღალმოსავლიანი ჯიშები და ფიზიკურად არ გვაქვს ტექნიკა. ტექნოლოგიაც არ არის სათანადო დონეზე. არადა, სულ ადვილად შეგვიძლია მაღალ დონეს მივაღწიოთ, რადგან შესანიშნავი კლიმატური პირობები გვაქვს, მით უმეტეს, იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც დღის საშუალო ხანგრძლივობა ჩვენსაზე ნაკლებია. მაღალმთიანი ადგილებიც გვაქვს, დაბლობებიც, ვაკეც. ასე რომ, თუ საქმე კარგად წავა, მეკარტოფილეობის პრობლემები ქვეყანაში 3-4 წელიწადში მოგვარდება. საქმე კი, წესით, კარგად უნდა წავიდეს.

არა ამირიანი, სომხეთის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, მანქანათა პროექტირების საფუძვლების გრაფიკის კათედრის გამგე: ეს სემინარიცა და „**Claas**"-ის აუდიტორიის გახსნაც კარგი ფაქტია. საერთოდ, უმაღლესი სკოლების მუშაკებს გვაქვს სასწავლო პროცესში უახლესი კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების პრობლემა. ასე აღჭურვილი კლასი კი, ვფიქრობ, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის 80 წლისთავისთვის "**მსოფლიო ტექნიკის**" მხრიდან კარგი საჩუქარია. ეს სწავლების ახალი ფორმაა, რომელიც იძლევა საშუალებას, მიაწოდო სტუდენტს უზარმაზარი ინფორმაცია და ლექცია კიდევ უფრო საინტერესო გახადო. სემინარი ძალიან დროული და აქტუალურია. ასეთი პრობლემა სომხეთშიცა და საქართველოშიც მწვავედ დგას: ჩვენი კურსდამთავ-

რებულების ცოდნის დონე და მომზადების ხარისხი იმ მოთხოვნებს არ შეესაბამება, რასაც შრომის ბაზარი მათ უყენებს.

სერგეი ბუტოვი, კომპანია „Claas"-ის წარმომადგენელი: სასიამოვნოა, როდესაც ჩამოდიხარ ქვეყანაში, უყვები, უხსნი და ხედავ, როგორ გისმენს ხალხი. მათ თვალებში იკითხება, როგორი ინტერესით გისმენენ. ყოველთვის საინტერესოა, როდესაც ხალხს რაღაც ახალს იგებენ. ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის, ყოველთვის სასიამოვნო და სასიხარულოა იმის შეგრძნება, როცა მსმენელს შენი ესმის. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა, როცა აიტაცებენ იდეას, ესე იგი, ხვდებიან, რომ ეს მათთვის, მათი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში, მგონი, კიდეც გადავაჭარბეთ იმ მიზნებს, რომლებსაც ვისახავდით: პირველ ეტაპზე ჩვენი მიზანი მხოლოდ იდეის შეთავაზება იყო, ამ იდეით აღგზნება კი სამომავლოდ გადავდეთ, თუმცა, გამოვიდა, რომ ამას უკვე მივაღწიეთ. ყველაზე სასიხარულო კი მაინც იმის შეგრძნებაა, რომ ადამიანებს სარგებელი მოუტანე, შეგნება იმისა, რომ შენს შრომას ფუჭად არ ჩაუვლია.

ზვიად ბრეგვაძე, შპს „მსოფლიო ტექნიკის" სამეთვალყურეო საბჭოს

სემინარის დაგეგმვის დროს ვცდილობდი, ორიენტირი სტუდენტებზე აგვეღო, რათა დაენახათ, რომ ცხოვრება გრძელდება, რათა ოპტიმიზმი ჩასახვოდა ხალხს. მინდოდა მეჩვენებინა, რომ თანამედროვე მიდგომა ამართლებს და თუ ასე არ მოვიქცევით, ვერც პირადულ ცხოვრებაში გაგვიმართლებს და, მით უფრო, სახელმწიფოში არ იქნება პროგრესი. ყველამ რაღაც უნდა გავაკეთოთ, რომ სოფელს ეშველოს. ფინანსური მდგომარეობიდან და სახელმწიფოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, პროფესორ-მასწავლებლებს გამოფენებზე სიარულის და პროგრესული ტექნიკის ნახვის საშუალება არ აქვთ. არადა, მასწავლებელი თუ არ გაეცნო, მოსწავლეს როგორ ასწავლოს?! იმედია, რომ ამ მასალებით, თანამედროვე სწავლების მეთოდებით ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები ჯერ თავიანთ კვალიფიკაციას აიმაღლებენ, მერე





კი საკუთარ ცოდნას სტუდენტებს სათანადოდ გადასცემენ. საშემოდგომოდ შეირჩევა მასწავლებლები, რომლებიც ევროპაში გაიგზავნებიან და იქ დამატებით ცოდნას მიიღებენ. ამის გარდა, იმედია, გამოჩნდება კიდევ ვიღაც, ვინც, შესაძლოა, ჩვენზე უკეთ გააკეთებს ამ ყველაფერს. მთავარი გამოღვიძების მომენტი – გზის დასაწყისია. ჩვენი ქმედება სხვებსაც დააფიქრებს, უფრო მომთხოვნს გახდის სტუდენტსაც და პროფესორ-მასწავლებლებსაც. საფუძველი უკვე ჩაყრილია, ცხოვრებაში ყველაზე რთული პირველი ნაბიჯია, რაც უკვე გადაიდგა. მინდოდა თავადაც დამენახა, რომ ცხოვრება გრძელდება. და ვნახე კიდეც: ვნახე სტუდენტების ანთებული თვალებიც და მათი ვიგრძენი ინტერესი. საქართველოში უამრავი საერთაშორისო ორგანიზაციაა, ვისაც ქვეყნის დახმარება სურს. მათ ის დასაყრდენი უნდა შევუქმნათ, სადაც დახმარება ეფექტიანი იქნება.

მსგავს სემინარს, როგორც ბატონი ზვიად ბრეგვაძე მიხსნის, შპს „**მსოფლიო ტექნიკა**" მომავალშიც გამართავს. მოწვეული სპეციალისტები პროფესორ-მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარებიან. მეზობელი ქვეყნების თხოვნით, შეხვედრაში აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები კვლავ მიიღებენ მონაწილეობას, რაც მეცნიერებისა და სტუდენტების შორის კონტაქტებს კიდევ უფრო გააღრმავებს. სემინარების გამართვის იდეა განსაკუთრებით მოიწონეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, „**GTZ**", „**MercyCorps**" და მის ორგანიზატორებს მხარდაჭერა და დახმარება აღუთქვეს.